ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 341

"21" ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ. 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული №ე-679-24-28290 და №ე-679-25-28291 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127² მუხლის მე-2 პუნქტის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ. 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული №ე-679-24-28290 და №ე-679-25-28291 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 12 ივლისის №23.1027.1139 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ. 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-679-24-28290 ხელშეკრულებით, №01.13.01.015.132 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 622.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების პირობით", იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული ქონება გაერთიანდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ომარ ლომსაძეს (პ/ნ. 01006005032) შორის 2022 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-679-25-28291

ხელშეკრულებით, №01.13.01.015.119 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 406.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების პირობით, მიმდებარე არეალთან ერთად“, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული ქონება გაერთიანდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე